

წიგნი

და ცივილიზაცია

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ნიფხი და ცოდილობაცია

14

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

კითხვის ჭეშმარიტება	7
წიგნის როლი კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში	18
კითხვა და ენის განვითარება	23
კითხვა, ეს არის პასუხი სიცოცხლისკენ მოწოდებაზე	31
საჰაფი ანუ წიგნების გამყიდველი	38
ზრდილობა და ლიტერატურა	45
სამყაროს წაკითხვა	50
მეჰმედ ნურის დახმარებით "კითხვის დრო"	57

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

კითხვის ქეშმარიტება

ისმაილ ქარაგოზ

ადამიანს სხვა ცხოველებისაგან განასხვავებს სხვადასხვა უნარები, როგორიცაა კითხვა, წერა, დასწავლა, ფიქრი, გაგება და სხვა. ღმერთმა ადამიანს ეს თვისებები უბოძა და დედამიწის მფლობელად მოავლინა, ხოლო დანარჩენი ცოცხალი არსებები ადამიანის სამსახურში ჩააყენა.

ღმერთმა მხოლოდ ასეთი უნარების მონიჭება არ იკმარა და ადამიანებს შუამავლები და წმინდა წიგნები მოუვლინა, რათა ადამიანს ამ უნარების სწორად და მართლზომიერად გამოყენება შესძლებოდა. დედამიწაზე კაცობრიობისთვის მოვლენილი უკანასკნელი შუამავალი მუჰამმედია, ხოლო უკანასკნელი წმინდა წიგნი-ყურანი.

როდესაც შუამავალი ორმოცი წლის გახდა მექას მახლობლად მთაზე ასვლა და იქ ფიქრი წესად გაიხადა. აქ ის ღვთისმსახურებას ეწეოდა და ამავდროულად სა-

ზოგადოების უკიდურეს გახრწნილობაზე, ფართოდ გავრცელებულ ზნედაცემულობასა და უსამართლობაზე დარდობდა. ასევე ფიქრობდა სამყაროს უკიდეგანობასა და ღამის ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს აკვირდებოდა.

610 წელი იყო. შუამავალი ტრადიციულად ჰირას გამოქვაბულში იყო და ისევ ფიქრობდა. რამადანის თვის 27-ე ღამე იქ გაატარა. ორშაბათ დღეს, გამთენიიისას ჰორიზონტზე ნათელმოსილი ფიგურა გამოჩნდა. ეს არსება, რომელიც მანამდე არ ენახა, ანგელოზი ჯებრაილი იყო. მათ შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა.

ჯებრაილი: „წაიკითხე!“

-„მე კითხვა არ ვიცი“- პასუხობს შუამავალი.

ჯებრაილმა მკლავები მოუჭირა მას და ისევ უთხრა: - „წაიკითხე!“.

- მე კითხვა არ ვიცი“ - გაიმეორა შუამავალმა.

ჯებრაილმა ისევ მოუჭირა მკლავები და უფრო მტკიცე ხმით უთხრა:

„მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით

1. იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა !

2. მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან !

3. იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია,

4. რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა!

შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!

ეს იყო ღვთისგან ადამიანებისთვის მოვლენილი უკანასკნელი წმინდა მეგზურის პირველი სიტყვები და ის იწყებოდა ბრძანებით: „წაიკითხე“. ასევე ყურადსაღებია ის მომენტი, რომ სანამ აიათს წაუკითხავდა მანამდე ანგელოზი ჯებრაილი ორჯერ უმეორებს შუამავალს ამ მოწოდებას. ასევე ჯებრაილის მოტანილ პირველ აიათებში წერია, რომ ადამიანმა ღმერთის სახელით უნდა დაიწყოს კითხვა, რომ ღმერთმა ის შედედებული სისხლისგან გააჩინა და მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად წერაც ასწავლა.

რა უნდა წაიკითხოს ადამიანმა? აიათში არ აირს მითითებული თუ კონკრეტულად

რისი წაკითხვაა ნაბრძანები. გამომდინარე აქედან ადამიანმა ჯერ ყველა მნიშვნელოვანი, ყურანი უნდა იკითხოს და ამასთანავე ყველაფერი, რისი წაკითხვაც შეიძლება; საკუთარი თავი, გარემო, სამყარო, მოვლენები და სხვა.

ეს ბრძანება გულისხმობს არამარტო დაწერილი ტექსტის წაკითხვას, ასევე სამყაროს შესახებ ცოდნის მოგროვებას, გაგებას და სხვაზე სწავლებასაც.

როდესაც ადამიანი საკუთარ თავს „წაიკითხავს“, ის მიხვდება, რომ ადამიანი თავისით ვერ გაჩნდებოდა და მასა და მთელ სამყაროს უზენაესი ძალა მართავს. მას ლოგიკაზე დამყარებული ცოდნა უჩნდება გამჩენის შესახებ და ასევე ხვდება, რომ ტყულად არ არის გაჩენილი და საჭიროა რწმენა და მადლიერება. ღმერთი ბრძანებს:

„ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?“ (მუმინუნ 115)

როდესაც ადამიანი სამყაროს კითხვას იწყებს, ის ხედავს, რომ ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, გალაქტიკა, ღრუბლები, ქარი, წვიმა, თოვლი, სეტყვა, ჭექა-ქუხილი, სიცხე, სიცივე, დედამიწა, მთები, ჩანჩქერები, ზღვები, ხეები, ხილი, ბოსტნეული და სხვა

მრავალი ცხოველური თუ მცენარეული სამყარო თავისით ვერ გაჩნდებოდა და ასეთი უნიკალური წონასწორობის დაცვით არსებობას ვერ გააგრძელებდა. ისინი მილიონობით წლებია ერთიანი სისტემის ფარგლებში აგრძელებენ არსებობას და ემსახურებიან ადამიანს. მზის ენერგია, ატმოსფერო, სუფთა ჰაერი, წყალი და საერთოდ ეს ყველაფერი აუცილებელია ადამიანის არსებობისა და განვითარებისათვის. ყურანში ნაბრძანებია:

„ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ალლაჰმა დაგიმორჩილათ თქვენ ის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და სრულჰყო თქვენდა თავისი მადლი ცხადიც და უხილავიც. მაგრამ ადამიანებს შორის არიან ისეთნიც, რომლებიც დაობენ ალლაჰის თაობაზე, ცოდნის, ჭეშმარიტი დამადგინებელისა და მანათობელი წიგნის გარეშე“. (ლოყმან 20)

ამ აიათის საიდუმლო ყველა ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს გამჩენის შეცნობა, მისი რწმენა, მისდამი მორჩილება და თაყვანისცემაა.

როდესაც ადამიანი ხმელეთზე, ცასა თუ წყალში მობინადრე ცოცხალ სამყაროს წაიკითხავს, შეისწავლის და გაიგებს, მიხვდება, რომ ეს ყველაფერი თავისით ვერ გაჩნდებოდა. ყურანშ ნაბრძანებია:

„და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის“. (ჯასიე 13)

ადამინი ერთი და იგივე მიწის, წყლისა და მზის ენერგიით მოყვანილ სხვადასხვა ფორმისა და გემოს ხილს მიირთმევს და ის აუცილებლად უნდა დაფიქრდეს, რომ ეს ყველაფერი ვერ იქნება შემთხვეითობის შედეგი. ისევ ყურანის აიათი ბრძანებს:

1. „მაშ, თვალი მიაპყროს ადამიანმა თავის საკვებს!

2. უეჭველად, ჩვენ წვიმა უხვად გავაწვიმეთ,

3. მერე მიწა (ავაფუეთ) ნაპრალ-ნაპრალ გავაპეთ,

4. და აღმოვაცენეთ მასზე მარცვალი,

5. ვაზი და სამყურა,

6. ზეთისხილი და ფინიკი,

7. და ბაღები ხშირი,

8. ხილეული და ბალახები,

9. სარგებლად თქვენთვის და თქვენი საქონლისთვის!“ (აბესე 24-32)

ამ ყველაფერზე დაკვირვების შედეგად ადამიანი ხვდება დიადი ღმერთის მიერ

შექმნილ უზადო წონასწორობას და უნაკლო კანონს, რის შემდეგაც მისდამი მადლიერება და თაყვანისცემა მართებს.

ადამიანი ასევე აკვირდება განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებს, მათ განათლებას, ტექნოლოგიას, წარმოებას, ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს და ხვდება რა არის ამ ყველაფერის მიზეზები. ყურანი გვაძლევს მითითებებს, რომ უნდა ვისწავლოთ და ვიშრომოთ.

1. „და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც.

2. და უეჭველად, გარჯა მისი სულ მალე დანახულ იქნება“. (ნეჯმ 39-40)

ადმიანი აკვირდება და სწავლობს სოციალურ ურთიერთობებს, ადამიანის შინაგან დამოკიდებულებებს და ხვდება, რომ ამ ყველაფრის უკან ღვთიური ძალა დგას, რომელმაც ადამიანში განვითარებისა და ბედნიერი ცხოვრებისთვის საკმარისი რესურსი ჩადო. ყურანის აიათებში ნაბრძანებია:

„და რაც სიავეთაგან გეწიათ იმისთვისაა, რაც მოიხვეჭა თქვენმა ხელებმა და მოგიტევებთ მრავალთა“. (შურა 30)

„გამოიკვეთა უკეთურება ხმელეთზე და ზღვაში იმის გამო, რაც მოიხვეჭეს ადამიანთა ხელებმა, რათა აწიოს მათ ნაწილი იმისა, რაც ჩაიდინეს, ეგების უკუმოიქცნენ!“ (რუმ 41)

როდესაც ადამიანი ღვთიურ გზავნილს ყურანს კითხულობს ხვდება, რომ ეს ადამიანის შემოქმედება არ არის და იქ მოცემული რეგულაციები, რომლებიც ოჯახს, ცოცხალ სამყაროს, გარემოს და ადამიანის ვალდებულებებს შეეხება ჭეშმარიტად ღვთიური სიბრძნის მატარებელია. ყურანის აიათები ადამიანის და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს ეხება. აქ არის ბრძანებები, აკრძალვები, რჩევები, მოწოდებები, წარსულიდან მაგალითები, საიქიო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია და სხვა. ადამიანი ხვდება, რომ მხოლოდ ყურანის გზით ივლის სწორად და უშეცდომოდ. სწორი ცხოვრების შემთხვევაში ადამიანი ჯილდოვდება, ხოლო გზიდან გადაცდომა სასჯელს იმსახურებს. ყურანში ნაბრძანებია:

1. „უეჭველად, აი ეს, ყურანი, დაადგენს ყველაზე სწორი გზისკენ და ახარებს მორწმუნეებს, რომელნიც კეთილ საქმეებს აკეთებენ, სწორედ რომ მათთვისაა დიადი საზღაური!

2. და უეჭველად, რომელთაც არ ირწმუნეს საიქიო, მათთვის გავამზადეთ ჩვენ მწარე სასჯელი! (ისრა 9-10)

1. „მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ. გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთე (წყალობა) თქვენდამი: და როცა იყავით მტრებად, შეგიერთათ გულები თქვენი და მისი სიკეთით (მადლით) ძმებად იქმენით თქვენ. და თქვენ როცა იყავით ცეცხლის უფსკრულის პირას, გიხსნა თქვენ მისგან. ამგვარად განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგების ჭეშმარიტ გზას დაადგეთ თქვენ!“ (ალი იმრან 103)

წაკითხვა გაგებას, ხოლო გაგება გათვითცნობიერებას განაპირობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურანის ამ მიზნით წაკითხვა. მხოლოდ მადლის მიღების მიზნით ყურანის კითხვა თავდაპირველი ბრძანების სრულფასოვნად შესრულება არ იქნება. ყურანი უნდა ვიკითხოთ და ვეცადოთ რაც შეიძლება მეტად გავიგოთ, ჩავწვდეთ, გავიაზროთ. დიახ, ყურანი ამ მიზნით უნდა წავიკითხოთ. ყურანის კითხვა ყოველთვის შეიძლება. ჩვენ მას ვკითხულობთ ნამაზის დროს, ნამაზებს შორის და ყოველთვის. თუმცა ყველაზე

მნიშვნელოვანია ყურანის წაკითხვა, მისი გააზრება და მის მიერ დადგენილი წესების ცხოვრების ნორმად დამკვიდრება. გთვაზობთ ყურანის აიათებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭეშმარიტი ღვთისმოშიშებით გეშინოდეთ ალლაჰისა, და ისე არ ჩააბაროთ სული, მუსლიმად არ აღესრულოთ!“ (ალი იმრან 102)

„იმ დღეს წარსდგებით და არც ერთი საიდუმლოება არ დარჩება დაფარული.

მაშინ ვისაც ებოძება თავისი წიგნი მისივე მარჯვენაში, იტყვის: აჰა, წაიკითხეთ ჩემი წიგნი!

უეჭველად, მე ვუწყოდი, რომ გადავეყრებოდი ჩემს ანგარიშსწორებას“.

მას ნეტარი ცხოვრება ელის

უმაღლეს სამოთხეებში! (ჰაქქა 18-22)

თუ არ წავიკითხავთ წმინდა წიგნს, არ გავიგებთ, არ გავითავისებთ, შესაბამისად არ ვიცხოვრებთ და მუსლიმებად არ აღვესრულებით სინანული გარდაუვალი გახდება.

1. „და არ მცოდნოდა, რაა ჩემი სასჯელი!

2. ნეტავ, იგი ყოფილიყო დასასრული!

3. ვერ შემეწია ჩემმა ქონებამ,

4. მოისპო ძალაუფლება ჩემი!“ (ჰაქქა 26-29)

რა ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც კიტხულობს ყურანს, იგებს და მისი წესების შესაბამისად ცხოვრობს.

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

წიგნის როლი კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში

აჰმედ ალბაირაქ

„ადამიანის ფასი წაკითხული წიგნების მიხედვით განისაზღვრება“. ჰერბერტ სპენსერი

ხშირად აღინიშნება, რომ ადამიანს ორი ძირითადი თვისება გააჩნია: ამათგან პირველი საკუთარი არჩევანისა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების ქცევაში გამოხატვაა, ხოლო მეორე კი საზოგადოებაში ცხოვრების აუცილებლობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ქცევების დემონსტრირება. ამ ჩამონათვალში პირველი რა თქმა უნდა ინდივიდუალიზმია. ანუ საძირკველს ადამიანის ინდივიდუალიზმი წარმოადგენს, ხოლო ზედა ნაწილს საზოგადოებრივი ნორმები და იდეალები განსაზღვრავს.

ადამიანმა საკუთარი არსებობის მნიშვნელობა რომ წარმოაჩინოს და ამავდროულად საზოგადოებაში თავისი ადგილი და ინდივიდუალიზმი შეინარჩუნოს და შესა-

ბამისი ქცევები განახორციელოს სამი რამ სჭირდება; კითხვა, აზროვნება და ფიქრის გაზიარება.

არისტოტელე მკითხველსა და არამკითხველს შორის განსხვავებას მკვდარსა და ცოცხალს შორის განსხვავებას ადრიდა. კითხვა სიცოცხლის ხელახალი გამობრწყინებაა. ბენჟამინ ფრანკლინი ამბობდა, რომ თუ ქვეყანაში კითხვის სურვილი არ მატულობს, უმეცრება და მისგან მოსალოდნელი უბედურება გარდაუვალი გახდებაო. კარგი, რატომ ხდება, რომ ზოგი ადამიანი, ან ზოგი ერი კითხვას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და ზოგი კი- არა. ამ კითხვას მრავალი პასუხი შეიძლება ჰქონდეს. ნებისმიერი პასუხის მიუხედავად ამ ყველაფრის მიზეზი და საფუძველი ისაა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომავალს. ადამიანი იმიტომ კითხულობს რომ დარდი აქვს. ხალხი, ერი იმიტომ კითხულობს, რომ საერთო დარდი აქვთ. რაც უფრო მეტია ეს დარდი, მით უფრო მეტს კითხულობს ადამიანი.

ჩვენს ქვეყანაში დაბეჭდილი წიგნებისა და მათი მკითხველის რაოდენობას თუ სხვა ქვეყნებისას შევადარებთ, მივხვდებით, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომავალს და რაოდენ გვადარდებს ეს. კვლევების მიხედვით დასავლურ ქვეყ-

ნებში წიგნი, როგორც მოთხოვნილება 18-ე ადგილზეა, მაშინ როცა თურქეთში წიგნის მოთხოვნილება 224-ე ადგილზე დასახელდა. ასევე სტატისტიკის მიხედვით ამერიკაში ყოველ 1000 კაცზე 3000 წიგნი მოდის. ეს რიცხვი გერმანიაში 2700-ია, რუსეთში -700, მაგრამ თურქეთში 1000 კაცზე მხოლოდ 7 წიგნი მოდის. იაპონიაში ერთი ადამიანი საშუალოდ 6 წიგნს კითხულობს, მაგრამ თურქეთში 6 ადამიანზე მხოლოდ 1 წიგნი მოდის. ამ ტიპის სტატისტიკური მონაცემების მოყვანა მრავლად შეგვიძლია.

ოსმალეთის დროს ბიბლიოთეკები სავსე იყო წიგნებით და ეს წიგნები არამარტო კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ მთელ მსოფლიოში მიჰქონდათ და ამ გზით ცოდნა, კულტურა და ცივილიზაცია. ასეთი წარსულის მქონე ქვეყანაში წერა-კითხვის მცოდნეთა დაბალი მაჩვენებელი და ზოგადად წიგნის მოყვარულთა ცოტა რაოდენობა საგანგაშოა და დამაფიქრებელი.

ადამიანის და საზოგადოების პრობლემაა კონკრეტულ დროს არსებული გამოწვევების გააზრება და მათი მოგვარების გზების ძიება. ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია სამომავლო მოლოდინების მაღალ იდეალებზე დაფუძნება და შესაბამისი პრევენციული მოქმედებების დაგეგმვა. ადამიანი როგორც ფიზიკურად, ისე სული-

ერად მუდმივი გაუმჯობესებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ. ასეთი ადამიანის სტატუსსა და მატერიალურ მდგომარეობას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, შედეგი მაინც უცვლელი იქნება. ასევე არ უნდა დავივიწყოთ წარსული, რომელის მომავლის განჭვრეტის საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

გარდა ამისა საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი კულტურაა და მას თავის მხრივ მატერიალური და სულიერი ინსტრუმენტები გააჩნია. კულტურის სულიერ მხარეს ადამიანის სულიერი სამყარო და გონება ქმნის, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, აქ თავად ხელოვნებაა მთავარი ინსტუმენტი და ასევე ამ კულტურის თაობიდან თაობაზე გადამცემი წიგნები. კულტურა მომავალ თაობებს ხელოვნების ნიმუშებისა და წიგნების საშუალებით გადაეცემა.

კულტურა და ცივილიზაცია მათი მდგენელი სულიერ და მატერიალურ ფაქტორებთან ერთად უნდა განიხილებოდეს. ცნობილია, რომ თუ გონება წიგნით არ იკვებება ერი დეგრადაციის გზას დაადგება. ადამიანი გონებას მხოლოდ წიგნითა და აზროვნებით განავითარებს. წიგნიერება

არის ის საფუძველი, რომელიც ხარისხიან ადამიანებს აყალიბებს და მათ მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები თუ ნაწარმოებები თაობიდან თაობას გადაეცემა და შექმნის კულტურას.

„წიგნები გონიერი ადამიანების ბაღებია, ხოლო მადლმოსილი ადამიანების სურნელოვანი ყვავილები“, ამბობდა ხალიფა ებუ ბექირი.

მართლაც, წიგნები, რომელი კულტურიდანაც არის იმ კულტურის ბაღია. ვინც წიგნთან მეგობრობს და მასთან ახლოსაა ის ამ ბაღის ნაყოფს მოიმკის.

წიგნს პატივისცემა სჭირდება. ის იდეალებითაა სავსე და ადამიანისთვის არის ის საშუალება, რითიც მან მაღალ მიზნებს უნდა მიაღწიოს.

წიგნი ადამიანებს ახალ შესაძლებლობებისკენ გზას უხსნის. როდესაც წიგნს ვკითხულობთ მწერლის მთელ წარმოსახვას და მიგნებებს ვეცნობით. ამდენად ჩვენი ცნობიერება ფართოვდება. ყოველი წიგნი გამოცდილების პროდუქტია.

ასევე, ჩვენი მიზანი სამაგალითო მწერლის აღმოჩენა უნდა იყოს. უნდა ვიპოვოთ მწერალი, რომელიც ჩვენს სულიერ კლიმატზე შეხმიანებას შეძლებს. ასე კითხვაც შეგვიყვარდება.

კითხვა და ენის ვახვითარება

ისა ქაიალფ

პოეტი, რომელიც „სამყაროს ენას“ ყველაზე უკეთ იცნობდა, ამბობდა: „შეგიცანი, ჰოი, ღმერთო!“

ადამიანმა სამყაროს სკოლაში რომ ისწავლოს და მისი ენა გაიგოს, უპირველეს ყოვლისა მისი გონება და გული ერთიან მოქმედებაში უნდა მოიყვანოს. ვინც იცნობს საკუდარ თავს, იცნობს ღმერთს და ვინც შეიცნობს ღმერთს, გაუგებს საკუთარ თავსაც. ვინც იცნობს საკუთარ თავს და ღმერთს ის უკვე მაღალ საფეხურზეა. ისედაც ადამიანის არსებობის მიზანი ეს არ არის?

ცოდნა ორი სახისაა. ერთი სახეზეა და მას ერთგვარი „ფიზიკური“, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ხოლო მეორე მეტაფიზიკურია და ის არ ჩანს. ცოდნის ხილული ნაწილისთვის მისი გამოხატვა და სხვებთან საერთო ენის გამონახვაა საჭირო.

ამასთანავე საჭიროა მისი სისტემატიური და თანმიმდევრული მიწოდება.

ხილულის მიღმა არსებული ცოდნა კი გულის გზით მოიპოვება და შესაბამისად „გულის ენა“ უნდა ვიცოდეთ. გულის ენას კი სიყვარული კვებავს. სიყვარული გამჩენისა და გაჩენილის მიმართ...

ეს სიყვარული კითხულობს სამყაროს წიგნს, რაც უფრო კიტხულობს უფრო ღელავს, რაც უფრო ღელავს უფრო მეტად რწყავს ირგვლივ ყველაფერს და ბოლოს ღვარცოფად მოვა... ვინც ხილულის მიღმა ვერ აღწევს და იმ ცოდნას ვერ სწვდება ამას ვერ გაიგებს. ეს მდგომარეობა ადამიანის უმაღლესი საფეხურია. რა თქმა უნდა ყველა ვერ შეძლებს მიაღწიოს ამ მდგომარეობას.

ჩვენ ფიზიკურ ხაზზე ვმოძრაობთ. ამ პროცესში უპირველეს ყოვლისა ადამიანმა სხვა ადამიანებთან კონტაქტში უნდა იყოს. ეს გზა კი სწავლაზე, კითხვასა და აზრთა გაცვლაზე გადის. ადამიანი ცოდნისა და გამოცდილების შეძენაზეა „დაპროგრამებული“.

ადამიანი, როგორც კი გარემოს შეცნობას დაიწყებს, იმ დროიდან სიკვდილამდე მუდმივად ეძებს პასუხს კითხვაზე: „ეს რა

არის?“ეს არის გასაღები, რითიც ადამიანი სწავლის სურვილს აღებს. ამ პროცესში ადამიანს ენის ცოდნა და ენის ცოდნის განვითარება სჭირდება, რათა ადამიანებთან კომუნიკაცია დაამყაროს.

ადამიანი და მეტყველება

პირველი ადამიანი ადამი იყო. აქ ადამიანში იგულისხმება არსება, რომელსაც ადამიანის თვისებები სრულად გააჩნდა. შესაბამისად ადამსაც გააჩნდა მეტყველების უნარი, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა. ღმერთმა მას მისცა სწავლისა და მეტყველების უნარი.

ადამიანური ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება მეტყველებაა. მეტყველების გარეშე ადამიანები კომუნიკაციას ვერ დაამყარებდნენ. ბუნებრივია ენის გარეშე ვერც ცივილიზაცია შეიქმნებოდა. გამომდინარე აქედან ცივილიზაციის შექმნის პროცესში ენა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ბუნებრივია ისეთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, როგორიც ენაა კარგად უნდა ვიცოდეთ. კარგი, როგორ უნდა ვისწავლოთ ენა? ენის კარგად შესწავლისათვის კარ-

გი მასწავლებელია საჭირო. ის არამარტო სწორად ლაპარაკს გვასწავლის, არამედ გვასწავლის მეტყველების სწორად გამოყენებას.

ღმერთმა როდესაც პირველი ადამიანი ადამი გააჩინა, რომელიც ამავდროულად პირველი შუამავალიც იყო, უბოძა ღვთიური გზავნილი, რომელიც მას უნდა წაეკითხა და დაესწავლა. ღმერთი მის შემდეგ შუამავლებსაც უგზავნიდა გზავნილებს და ისინიც კითხულობდნენ და ხალხს ასწავლიდნენ. ენა, ეს წიგნია, ხოლო წიგნი-ცივილიზაცია. სწორედ ენა წარმოშობს ცივილიზაციას. თუ ადამიანი თავის ზნეობას და უნარებს სწორად გამოიყენებს ღვთის წინაშე ყველაზე მეტად ამაღლდება, ხოლო თუ ამ ყველფაერს ცუდად გამოიყენებს „ცხოველებზე უფრო დაბალ“ დონეზე დაეშვება.

ღვთის მიერ მოვლენილი წიგნი სამყაროს შესწავლის გზამკვლევია. როცა ადამიანს ასეთი გზამკვლევი აქვს გზას არ ასცდება. წიგნის გარეშე დარჩენილი ადამიანი ენის გარეშეა დარჩენილი.

ადამიანმა რომ სამყაროს გამჩენი შეიცნოს, გზა წიგნზე გადის. ღმერთი ამიტომ გზავნიდა წმინდა წიგნებს. ღვთის წიგნის კითხვა ღმერთთან ლაპარაკს ნიშნავს.

სკოლა და კითხვა

ადგილი, სადაც ენის ყველაზე კარგად სწავლა შეიძლება, სკოლაა. სკოლა ყველაზე სასარგებლო ადგილია, სადაც ადამიანები ადრეული ასაკიდან სწავლობენ და იქ ნასწავლი შემდგომში პრაქტიკაში გადააქვთ.

სწორედ სკოლა ის ადგილი, სადაც ადამიანები ნამდვილ ურთიერთობებს სწავლობენ, სადაც ცივილიზაციისა და განვითარებისთვის საჭირო უნარებს განივითარებენ.

სკოლა, ეს ენის განვითარების ადგილია. სამყაროში რაც არსებობს ყველაფერს საკუთარი სახელი გააჩნია. ამ სახელების დასწავლით სამყაროს ვეცნობით. ჩვენ ვცდილობთ გაიგოთ არსებობის აზრი და საამისოდ ვცდილობთ ვისწავლოთ. თუ რამე ვერ გავიგეთ, ამ დროს ვცდილობთ ჩვენს მიერ მიგნებული სახელი დავარქვათ და ასე ავხსნათ.

სკოლაში სწავლისას ვკითხულობთ სიტყვებს და მხოლოდ მათ ხილულ ნაწილს კი არ ვეცნობით, არამედ უხილავ აზრებს ვწვდებით. შესწავლილი სიტყვები გვაიძულებს ამ სიტყვების სამყაროში წავიდეთ და ვიწყებთ ოცნებების აგებას. ჩვენ

ამ სიტყვებით ერთმანეთს ვეხმიანებით. ამ სიტყვებით ვამბობთ სათქმელს. საყვარელი არსების სახელს ყველაზე ლამაზად ის გამოთქვამს, ვისაც ის უყვარს.

ჩვენ სიტყვების საშუალებით ვეუბნებით ერთმანეთს, რომ გვიყვარს. ადამიანი სიყვარულს სიტყვებით გამოხატავს და ადასტურებს. ადამიანი სიტყვით იპყრობს გულებს.

სამყარო პატარავდება და ადამიანი ასპარეზზე გამოდის. ადამიანი სამყაროს ენაზე იწყებს საუბარს. ამ დროს ადამიანს სამყაროს ენა ესმის. ამ დროს ადამიანი სიყვარულის ენას სწავლობს. უკვე სულ ახალი და ახალი აღმოჩენების დრო დგება.

ადამიანი საუბრის საშუალებით იმედიანი ხდება. ის ოცნებობს მეტი გაიგოს და მეტი გამოხატოს. ის მიწას კი აღარ უყურებს, მაღლა აღაპყრობს თვალებს და უფრო და უფრო მაღლა ისწრაფვის. ის ხვდება და ამბობს, რომ ერთად უნდა ვიყოთ.

სამყაროს ენა

ენა მხოლოდ მარტივ საკუმუნიკაციო საშულებად თუ დარჩება სასურველის

მიღწევა შეუძლებელი გახდება. ენა მის ფიზიკურ ჩარჩოებს უნდა გასცდეს, რათა ის მისია შეასრულოს, რასაც ადამიანის „გაადამიანება“ ჰქვია. გამომდინარე აქედან ენის, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორის სწორად გამოყენება და მისი გამოყენების მიზანი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად მანქანა, რომელიც შევიძინეთ, ჩვენი მიზნის შესაბამისად ვიდაცის მოსაკლავადაც წაგვიყვანს და ასევე საყვარელი ადამიანების სანახავადაც. ანუ ჩვენ ორივე შემთხვევაში ამ საშუალებას გამოვიყენებთ. ასე რომ, ურთიერთგაგებისთვის მნიშვნელოვანია არა ერთ ენაზე ლაპარაკი, არამედ ერთი გრძნობის გაზიარება.

სამყაროს ენის ცოდნა ადამიანებს კი არ დააშორებს და წააჩხუბებს, არამედ დაახლოვებს. როცა ერთი საერთო გრძნობა მოქმედებს ადამიანთა მეტყველებაც ლამაზდება.

ჯერ კიდევ პირველ ადამიანს ჰქონდა წიგნი და შეეძლო ამ წიგნს გასცნობოდა. ეს იყო ღმერთის გზავნილის პირდაპირი წაკითხვა.

ენა სხვათა გულის მოსაგებად, გასაერთიანებლად და სიკეთისთვის უნდა გამოვიყენოთ და არა შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად.

ასევე საინტერესო შემთხვევაა, როცა ადამიანები მშობლიურ ენას დედა-ენას ეძახიან. ენასა და დედას შორის არსებული ეს კავშირი შემთხვევითი არ არის, პირიქით, ის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ადამიანის აღზრდაში ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი დედაა.

ბავშვი,ეს სიყვარულია. მის ამღზრდელს კი მისდამი სიყვარული ალამაზებს. რაოდენაც მნიშვნელოვანია ბავშვისთვის დედა, ისეთივე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ენა და ორივე სიყვარულის ცენტრს და წყაროს წარმოადგენს. ამიტომაა რომ მშობლიურ ენას დედა-ენა ჰქვია.

ბავშვისთვის სკოლა მეორე „დედის კალთაა“. სკოლა თავისთავში მოიცავს ისეთ თვისებებს,რომელიც დედის კალთას ახასიათებს. ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კითხეთ, ეს ორის პასუხი სიკეთეზლისეენ მოწოდებაზე

ჰუსეინ ქარაჯა

ადამიანზე ბოძებული წყალობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია კითხვისა და წაკითხულის გაგების უნარი. ღმერთმა ადამიანებს ასწავლა ის,რაც მათ არ იცოდნენ. ყურანში ნაბრძანებია:

„რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა!

შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!“ (ალაქ 4,5)

ღვთიური გზავნილის პირველი ბრძანებაც ეს იყო, „წაიკითხე!“.

„იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა ! (ალაქ 1)

ალაქის სურას პირველივე აიათში სწორედ ეს ბრძანებაა მოცემული. იქ კონკრეტულად არ არის მითითებული თუ რა უნდა იკითხოს ადამიანმა, თუმცა ღმერთი

ბრძანებს, რომ მისი სახელით უნდა ვიკითხოთ. გამომდინარე აქედან უნდა ვიკითხოთ ყველაფერი, რაც ღვთის კმაყოფილებას მოგვაპოვებინებს.

კითხვა ის მგრძნობელობაა, რომელიც ჩვენს გამჩენ ძალას მუდმივად გვაგრძნობინებს. ასევე ყურანის აიათებიდანვე ცხადია, რომ განათლებას, ცოდნის შეძენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კითხვა არის ცოდნა იმისა, თუ რა, რატომ და როგორ უნდა წავიკითხოთ. ეს არის წესების ცოდნა და მათი განუხრელად დაცვა.

ჩვენთვის კითხვის სურვილის მამოტივირებელი ფაქტორების სათავეში ყურანის მიმართ რწმენაა. კითხვა, ეს არის პასუხი იმ ძახილზე, რომელიც სიცოცხლისკენ მოგვიწოდებს. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ . და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი !“ (ენფალ 24)

შუამავალი იმ სახლს, სადაც ყურანს კითხულობდნენ ცოცხალს ადარებდა, ხო-

ლო იმას, სადაც ყურანს არ კითხულობდ-ნენ -მკვდარს.

ყურანის კითხვა ღვთისმსახურებაა და მისი გაგების მცდელობა და ამ მიმართულებით დახარჯული ჯაფა ცალკე მადლია.

კითხვა წიგნში აღმოჩენილი სიცოცხლის დანახვაა. წიგნში წიგნის ძიება, მიზნის მიხედვით მცდელობა და პრაქტიკაში დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა მოსმენაც ერთგვარი კითხვაა.

კითხვა პოეზიაა.

კითხვა მუსიკაა. ბილალის ხმაა, რომელიც უდაბნოს ეხმიანება.

კითხვა წარსულიდან მომდინარე ხმაა, საუკუნეების წინათ რომ გაისმა.

კითხვა ხმას უსასრულობას სძენს. მინარეთებიდან წამოსული ხმა, რომელიც ცას სწვდება.

ერთხელ შუამავალთან ერთი კაცი მივიდა და შესჩივლა, რომ ნაფილე ღვთისმსახურება მისთვის რთული იყო და ვერ

ასრულებდა, ამიტომ სურდა რამე იოლი ერჩია მისთის, რათა მუდმივად მისი შესრულება შესძლებოდა. შუამავალმა მას ურჩია, რომ მუდმივად ღმერთის ხსენებით დაკავებულიყო.

კითხვა ღვთის სადიდებელია. ის მუდმივი ფეხზე დგომა და მზადყოფნაა ღვთის სამსახურში.

კითხვა რუქუა, ქედის მოხრაა.

კითხვა სეჯდეა, ღვთისადმი თაყვანისცემის გამოხატვაა.

კითხვა მისალმებაა, მთელ კაცობრიობასა და ანგელოზებზე მისალმება.

კითხვა ცრემლია, რომელიც მკითხველის თვალთაგან მოედინება.

კითხვა ზნეობაა, ქცევაა. ამიტომაა, რომ ღვთის წინაშე ყველაზე თავმდაბალნი სწავლულები არიან.

კითხვა ყვავილში სიცოცხლის დანახვაა, რომელიც გაიძულებს არ მოწყვიტო.

კითხვა ის სურნელია, რომელიც მგზავრებს იზიდავს. ეს არის იმ ამბის მოსმენა, რომელიც ადამიანის გაჩენიდან დღემდე

შუამავლების ნაკარნახევი გზის გავლას აღწერს. ამის გამოა, რომ მკითხველი ისევ ისეთი წყურვილით ხელახლა იწყებს ფათიჰადან და კითხულობს ნასის ჩათვლით.

კითხვა იმ სასჯელის გაგებაა, რასაც უმეცრება ჰქვია.

ეს არის იმ ტკივილის გახსენება, როდესაც ანდალუსიასა და გირნათის ბიბლიოთეკებში უიშვიათესი ხელნაწერი წიგნების განადგურებამ გამოიწვია.

ეს არის მწუხარება იმ ფაქტის გამო, როდესაც თანამედროვე ეპოქაში ბაღდადის ბიბლიოთეკა წიგნებისგან დაცალეს.

კითხვა ნიშნავს იმ გზებისა და საშუალებების სილამაზეს, რომლებსაც კითხვისათვის ვიყენებთ. მუსლიმი ის ადამიანია, რომელიც საქმეს საიმედოდ და ხარისხიანად აკეთებს. კითხვა გვაძლევს არამარტო ესთეტიკურ სიამოვნებას, არამედ ის ჩვენი ზნეობის მასაზრდოებელია.

კითხვა ის ცოდნაა, რომელიც პრაქტიკაში განხორციელდება. სწავლულების ცოდნა კითხვაზეა დამყარებული და ამით მიღებული ჭვრეტის უნარიდან გამომდინარე სამყაროსა და მის გამჩენზე ფიქრი რაოდენ შორსაა წასული.

კითხვა თვალის სიმახვილე დასიტყვის სისწორეა.

კითხვა ნიშნავს შეგეძლოს ატირება.

კითხვა ის უნარია დაინახო მოვლენების მიღმა არსებული მიზეზები. კითხვა ის უნარია უხილავში ნახო ის, რაც ხილული უნდა იყოს. კითხვა უნარია უყურებდე და ხედავდე.

კითხვა ნიშნავს არ იყო ბრმა. კითხვა ნიშნავს იოლად ჩასწვდე ისეთ ჭეშმარიტებას, რომელიც დღესავით ნათელია და ის გიცავს სიბრმავისგან, რომელიც ამ აშკარა ჭეშმარიტებას ვერ შეამჩნევს.

კითხვა გვასწავლის ვიაროთ მოთმინებით იმ გზაზე, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს. ყურანში ნაბრძანებია:

„და ჩვენ დავყავით იგი, ყურანი, რათა უკითხო ის ხალხს დახვეწილად, და ზეგარდმოვავლინეთ იგი თანდათანობით“. (ისრა 106)

კითხვა გვასწავლის სათნო გაღიმებას და არა უსიამოვნო ხარხარს. ის არის საშუალება გავიგოთ მუდმივი ჯილდოს ფასი და არ დავხარბდეთ ამქვეყნიურ, დროებით და ფუჭ სარგებელს.

კითხვა საკუთარი თავისადმი ნდობაა. ეს არის ბრძოლისუნარიანობისა და კონცენტრაციის საშუალება, რათა მყარად ვიდგეთ და სასოწარკვეთილებამ არ მოგვიცვას. ეს არის უნარი კი არ ვწყევლოთ მჩაგვრელი, არამედ მისი და მისი შთამომავლობის გამოსწორება ვთხოვოთ ღმერთს. ეს არის მადლიერება დღევანდელი დღისთვის და ხვალინდელის იმედი.

კითხვა სხვებისთვის გზის განათებაა.

კითხვას ქველმოქმედების სიკეთე აქვს. ეს არის სურვილი ღარიბი ბავშვების დახმარებისა, რათა მათაც მიიღონ განათლება.

კითხვა ნიშნავს დაინახო ის მშობელი, რომელიც სახლიდან სამუშაოდაა წასული, ფეხსაცმელები დახეული, ტანსაცმელი დაკერებული აქვს და მთელ ფულს შვილების განათლებას ახმარს. კითხვა ნიშნავს დავინახოთ ის დედები, რომლებიც ნახევრად მშივრები იძინებენ, რათა შვილებს განათლება მისცენ.

კითხვა ის ტრადიციაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

საბაჯი ანუ წიგნების ვაჭყიდველი

ქამილ ბუიუქერ

წიგნით დაწყებული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია წიგნების გადამწერებისა და წიგნების მაღაზიის გაჩენაა, რაც წიგნებს ხელმისაწვდომს ხდიდა.

ნათქვამია, იმ ადგილზე, სადაც წიგნები არსებობს, იქნება ცივილიზაციაც.

ოსმალეთის იმპერიაში წიგნის პირველი მაღაზია XV საუკუნეში ბურსაში გაჩნდა. შემდეგში იმპერიის ცენტრი ედირნეში გადავიდა, ამიტომ მალე იქაც წიგნების მაღაზიები მომრავლდა. სტამბოლის აღების შემდეგ კი წიგნების გავრცელებისა და გაყიდვის ცენტრი აქ გადმოვიდა.

ოსმალეთის დროს ასეთი მაღაზიები თავისი მუშაობის სტილით სხვა დუქნების მსგავსად ვითარდებოდა. ყოველი ასეთი მაღაზია ლოცით იხსნებოდა და ლოცვითვე იხურებოდა.

წიგნების გამყიდველი მაღაზიის ცენტრში იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე ჯდებოდა და წიგნების ყიდვას იწყებდა. ევლია ჩელების გადმოცემით ბურსაში იმ დროს ორმოცდაათამდე წიგნის მაღაზია იყო, რომელთა ირგვლივაც შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით მრავალი ადამიანი იყო დასაქმებული. გარდა ამისა წიგნების გამყიდველები ოსმალურ დღესასწაულებში და სახალხო მსვლელობებშიც იღებდნენ მონაწილეობას.

სტამბის შემოსვლამ მაშინდელი გადამწერების და წიგნის ხელოსნების მნიშვნელობა შეამცირა. ხელნაწერი წიგნების ოსტატები და მათი გამყიდველები სხვა ადგილას გადასახლდნენ.

დღეისათვის ძველი ხელნაწერი წიგნების მაღაზიები სტამბოლში „დახურულ ბაზარშია“. 1894 წლის დიდი მიწისძვრის დროს ეს ბაზრობა ძალიან დაზიანდა. რა თქმა უნდა დაზიანდა წიგნების დუქნებიც. მოგვიანებით კი 1950 წლის ხანძარმა კი წიგნების მარაგი თითქმის მთლიანად გაანადგურა. სტამბოლის მერიამ ახალი მაღაზიები ააგო, რომლებიც ბეტონის იყო და წიგნების დუქნები იქ გადაიტანა. ამ ბაზრობის ცენტრში კი პირველი თურქი გამომცემელია იბრაჰიმ მუთეფერრიქას ბიუსტი დგას. ამჟამად ბეიაზითის მეჩეთის

გვერდზე 23 წიგნის მაღაზიაა განთავსებული.

2. „ადამიანი საფლავში, წიგნი აუქციონზე“.

ყველა ძველ წიგნს თავისი ისტორია აქვს, რომელსაც ის თავის გაცრეცილ ფურცლებსა და დამტვერილ ყდებზე ინახავს. ვინ იცის რაოდენ მნიშვნელოვანი ადამიანების ხელში ყოფილა თითოეული მათგანი და რაოდენ მნიშვნელოვან სასახლეებში კითხულობდნენ. ადამიანის გადაცვალებისთანავე მის წიგნებს ყიდდნენ. ამიტომ დამკვიდრდა ეს გამოთქმაც: „ადამიანი საფლავში, წიგნები აუქციონზე“. ხშირ შემთხვევაში ფასდაუდებელი წიგნები მართლაც ხურდა ფულზე იყიდებოდა. ეს ძალიან სევდიანი და გულდასაწყვეტი პროცესია.

ასეთი ჩაბარებული წიგნები ახალი პატრონის მოლოდინშია. ისინი უტყვად იცდიან და ხელში აღებას ელიან. პირველი ხელი, მეორე ხელი... სანამ ჩვენამდე მოაღწევდნენ, ვინ იცის, რამდენი პატრონი გამოიცვალეს. ნეტა ჩვენ მერამდენე ვართ? ამაზე ფიქრიც კი ცალკე მღელვარების მიზეზი ხდება.

„ვინ იცის, რამდენი მედრესეს კუთხე აქვთ მოვლილი. ვინ იცის რამდენ მოს-

წავლეს გაუწიეს ღამის მეგობრობა და ბალიშთან ერთად უტყვად იცდიდნენ დილამდე. ვინ იცის სადღაც სოფელში, ხის ოდროჩოდრო თაროებზე რამდენი წელი იყვნენ მტვერწაყრილები. ყდებზე, კუთხეებში, ფურცლებზე სხვადასხვა ადამიანებს რამდენი რამ მიუწერიათ. ..

3. „ყოველ დილას წიგნის გამყიდველები შეიხს პატივს მიაგებენ“

წიგნის გამყიდველების ტრადიციაში ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტი იყო, რომელსაც „ბუკინისტების საშეიხო“ ერქვა. ეს საშეიხო წიგნების გამყიდველების ოფიციალურ პრობლემებს აგვარებდა. ეს იყო წიგნის გამყიდველებსა და სახელმწიფოს შორის შუამავალი. ისინი აგვარებდნენ სასამართლო დავებს და სხვა. შეიხს წიგნების გამყიდველთა საკრებულო ირჩევდა.

გადმოცემის თანახმად შეიხს ყველა იმ წიგნის ეგზემპლარი ჰქონდა, რომლებიც მის საშეიხოში იყიდებოდა. გარდა ამისა შეიხის რეზიდენციაში 300-400 გადამწერი მუშაობდა. როდესაც ვინმე წიგნს შუკვეთავდა შეიხი ხელნაწერის ოსტატებს ავალებდა წიგნის შექმნას და დათქმულ დროში შემკვეთს გადასცემდა. შერჩეული გადამწერები გვერდებს ინაწილებდნენ და

ერთ წიგნს ერთ ღამეში ამზადებდნენ. ზოგადად თითო გადამწერზე 10-20 გვერდი მოდიოდა. გადამწერებს გვერდები შეიხთან მიჰქონდათ, ის ალაგებდა, ამოწმებდა, კინძავდა და საბოლოოდ წიგნად შეკვრის ოსტატთან აგზავნიდა. შემდეგ წიგნი ისევ შეიხს უბრუნდებოდა, ის ამოწმებდა ხარისხს და ამის შემდეგ შემკვეთს გადასცემდა.

წიგნების გაყიდვის განსაკუთრებული ფორმა იყო ეგრეთ წოდებული მოხეტიალე გამყიდველები, რომელბიც ძვირფას წიგნებს მდიდრების უბნებში დაატარებდნენ და ყიდდნენ.

4. წიგნის გამყიდველების განათლება

ადამიანები, რომლებიც წიგნების გაყიდვით იყვნენ დაკავებული, თავის მხრივ ფლობდნენ სათანადო განათლებას, რომ წიგნის, ჟანრის და სფეროს მიხედვით მუშტარისთვის შეერჩიათ მოთხოვნის შესაბამისი წიგნი და შეეთავაზებინათ. ეს ადამიანები მუდმივად წიგნების ავტორებთან და ზოგადად წიგნებთან იყვნენ ურთიერთობაში, ამიტომ ბუნებრივია შესაბამის ცოდნას ფლობდნენ. გარდა ამისა, ისინი ხშირად გამონაკლისს უშვებდნენ იმ ადამიანებისთვის, ვისაც წიგნის შეძენა სურდა, მაგრამ საკმარისი ფული არ ჰქონდა.

წიგნის გამყიდველები ყოველთვის ცდილობდნენ დაბალი ფასები შეენარჩუნებინათ და მოგებას დიდად ყურადღებას არ აქცევდნენ. ბუნებრივია არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც დეფიციტური წიგნების ძვირად გაყიდვას ცდილობდნენ, მაგრამ ეს წიგნის გამყიდველებს შორის მისაღებ ქცევად არ ითვლებოდა.

5. წიგნის გამყიდველების თავშეყრის ადგილები მრავალი ადამიანის ინტერესის სფერო იყო

წარსულში წიგნის დუქნების ლოკაციის ადგილი ბევრი ადამიანის ინტერესის სფერო ყოფილა. აქ იკრიბებოდნენ წიგნის მოყვარულები, სწავლულები, მწერლები და სხვა.

ძველი დროის ოსტატებიდან ნიზამეთთინ აქთუჩი, რაიფ იელქენჯი, ისმაილ დილმენი, ჰაჯი მუზაფფერ ოზაკი და სხვები აქ მოღვაწეობდნენ. ნიზამეთთინ აქთუჩი უცხო ენოვანი ლიტერატურის სფეროს განაგებდა. მის განკარგულებაში უმეტესად თურქეთისა და ბიზანტიის ისტორიის შესახებ დაწერილი წიგნები იყო. რაიფ იალქენჯი ხელნაწერი წიგნების სფეროს ხელმძღვანელობდა და მის დაქვემდებარებაში იყვნენ ხელნაწერი წიგნების ოსტატები.

დღეს როცა იმ დროიდან შემორჩენილ წიგნებს ხედავენ ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდა კითხულობს, ეს წიგნები სად დააძველეთო. მათ არც კი სმენიათ ამ ტრადიციული პროფესიის შესახებ. არსებობს უარესი შეფასებებიც. ზოგი ახლგაზრდა ვარაუდს გამოთქვამს რომ ეს წიგნები სანაგვეშია ნაპოვნი და აქ გასაყიდად მოტანილი. ზოგს არ მოეწონა, რომ წიგნი სქელტანიანი იყო და ამის გამო გამოთქვა პრეტენზია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს დაწესებულებები საზოგადოების განათლებისა და ცოდნის დღევანდელობამდე მოტანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

muslimgeorgia
muslim georgia foundation
international charity
muslim georgia

ზრდილობა და ლიტერატურა

მუსტაფა ოზჩელიქ

„ორპირობის გზას არ დაადგე,
ზრდილობას მიჰყევ, ზრდილობას“.
სუნულლაჰ გაიბი

ლიტერატურა მხოლოდ ხელოვნება კი არა, ამავდროულად ის მეცნიერებაცაა. ეს უკანასკნელი მივიწყებულია, ამიტომ ლიტერატურა მხოლოდ პირველი თვისებით მოიხსენიება.

არაბულ ენაში სიტყვები ზრდილობა და ლიტერატურა ერთი ძირიდან მოდის. ასევე მათი მონათესავე სიტყვაა მოპატიჟებაც (დაღვეთ). გამომდინარე აქედან ლიტერატურა მხოლოდ ესტეთიკური ღირებულების ნაწარმოებებს კი არ წარმოშიბს, ის ამავდროულად მოწოდებაცაა. შესაბამისად ხელოვანი ადამიანი მაღალი იდეებისკენ მოგვიწოდებს.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ლიტერატურის შედევრები, რომლებიც მაღალი ზნეო-

ბის იდეალებისკენ მოგვიწოდებენ. ლიტერატურული ნიმუშები ეხმიანება როგორც ინდივიდებს, ისე საზოგადოებას. ეს არის კარგისა და სწორის ყველაზე ლამაზი ფორმით შეთავაზება. ამგვარი შეთავაზება ესტეთიურ სიმდიდრეს მოითხოვს.

ამ წერილის დასაწყისში ლექსის ნაწილი შემოგთავაზეთ. ამ ნახევარ სტროფშიც ჩანს, როგორი მოწოდებაა სიკეთისკენ და ასევე ავტორი გვაფრთხილებს ისეთი ქცევებისგან თავის არიდებაზე, რაც ზიანს მოგვიტანს. ადამიანს მართალი სიტყვა უნდა ახასიათებდეს და ორპირობა არ უნდა დაუშვას. ასევე ის უნდა იყოს ზრდილობიანი და ამ უკანასკნელს ჩაეჭიდოს.

ლიტერატურის ეს მისია საბოლოო ჯამში ადამიანზეა ორიენტირებული, ადამიანი კი ძალიან მრავალგვარია. ადამიანს გააჩნია როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მხარე. ადამიანს ამ კუთხით თუ შევხედავთ, ყოველი ორგანო, მაგალითად თვალი, ყური, ფეხი და სხვა არის ფიზიკური ორგანო, მაგრამ ამავდროულად სულიერი ფუნქცია და მხარე გააჩნიათ. ადამიანი ერთი შეხედვით ფიზიკური ორგანოების საშუალებით აღიქვამს კარგსა და ცუდს, კეთილსა და ბოროტს, ჭეშმარიტებასა და მცდარს. ამაში მას შირითად სამსახურს გონება და „გული“ უწევს.

პოეტი შემდეგ სტროფებში აგრძელებს:

„ვინმეს გული არ ატკინო,
მიჰყევ ზრდილობას, ზრდილობას მიჰყევ!“

სუფისტი პოეტის აზრით ეს არის კიდევ ერთი პირობა ადამიანი წყალობის კარებთან იდგეს და ელოდეს, რადგან სუფიზმის ენაზე გული ეს ღმერთის სამყოფელია. ჩვენ კი გვსურს ადამიანზე ზემოქმედებისა და ზნეობრივი მოწოდებების თვალსაზრისით ლიტარეტურის როლი გამოვკვეთოთ. ამ მიმართულებით მტელი სუფისტური ლიტერატურა და პოეზია „გულისმიერი ლიტერატურაა“.

ლექსი, რომელიც მხოლოდ ლამაზი სიტყვებითაა შემკული და ლამაზი რითმების მეტი არაფერი გააჩნია, ამ ტიპის გრძნობებისა და მოწოდებებისგან ძალიან შორს დგას. დღესაც ბევრი ლექსი იწერება, მაგრამ ადამიანებს ისინი არ ამახსოვრდებათ. ადამიანები ისეთ ლექსებს იმახსოვრებენ, რომლებიც გულს ეხმიანება.

„ნუ მოსწყდები ჭეშმარიტებას,
მიჰყევ ზრდილობას, ზრდილობას მიჰყევ“.

გამომდინარე აქედან ადამიანის პატიოსნებას და ზრდილობას სარწმუნოება განსაზღვრავს. ადამიანი რაოდენაც მჭიდ-

როდ დაკავშირებულია რწმენასთან, იმდენად შეუძლია იყოს „ზრდილობის ფარგლებში“. ცივილიზაციას სარწმუნოება აშენებს. სახელმწოფოებსაც სარწმუნოება ასულდგმულებს. გამომდინარე აქედან, რელიგიის მხოლოდ პირადულ მოვლენად აღქმა სწორი არ იქნება. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ დებულებებს მხოლოდ ზოგად კონტექსტში აღვიქვამთ ძირითად მიზანს ვერ მივაღწევთ. ნამაზს, მარხვას და სხვა, გააჩნია იდვიდუალური დატვირთვა და ის ამავდროულად ერთგვარი დისციპლინაა. ადამიანი გრძნობებით უფრო შორს უნდა წავიდეს, რათა სარწმუნოების მიზანს უფრო მეტად ჩასწვდეს და ფიზიკური ფორმის შინაარსი გაიგოს.

ავტორი კითხულობს, არის თუ არა რაიმე ფიზიკური ფორმის მიღმა და თავად პასუხობს: რა თქმა უნდა არის. სწორედ ესაა ჭეშმარიტება, ფიზიკური ფორმის მიღმა არსებული არსის დანახვა. აქვე ერთი განსაკუთრებული მაგალითი შეგვიძლია მოვიტანოთ. ცნობილი ფაქტია, რომ მორწმუნე ადამიანებს შუბლი ისე აქვთ გასხივოსნებული, რომ იოლი შესამჩნევია. ეს სეჯდეს კვალია. ღვთისადმი თაყვანისცემის დროს ადამიანს ეს ნათელი ეფინება.

გაიბი თითქმის ყველა სრიქონში ადამიანებს მოუწოდებს ზრდილობას გაჰყვნენ.

ამ გზით ადამიანი ურწმუნოებისგან დაცული იქნება. ორპირობას არ გაეკარება და ერთი ღმერთის რწმენას შეინარჩუნებს. ვინც ერთი ღმერთის რწმენას ჩასწვდება ის ყველგან იგრძნობს მას. მისთვის მთა არარ იქნება მხოლოდ მთა. არც ქვა იქნება მხოლოდ ქვა. ადამიანი თოვის დროს ყოველი ფიფქის გვერდით ანგელოზს დაინახავს. ამ დროს თვალი მხოლოდ ჭეშმარიტებას ხედავს და გზაც მხოლოდ ღვთისკენაა.

გაიბი ყოველი სტროფის ბოლოს ერთი და იგივე მოწოდებას იმეორებს და ზრდილობაზე მიყოლას გვირჩევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არაბულ ენაში სიტყვები ზრდილობა და ლიტერატურა ერთი ძირიდან მოდის. შესაბამისად ზრდილობის საფუძველზე აღებული კალამი ჭეშმარიტებისკენ მოგვიწოდებს.

საძაროს წაკითხვა

უმმუგულსუმ თათ

ზამთარია.

თოვს. წვიმს. გზები იყინება და იქმნება საცობები. სკოლებში ყინვების გამო მეცადინეობა გადაიდო. ეზოს ჭიშკრები დახურულია, ხოლო ფანჯრებზე მძიმე ფარდებია ჩამოფარებული. ღუმელზე ჩაი თუხთუხებს, გვერდით კი წვნიანით სავსე პატარა ქვაბი უდგას.

ადამიანები ჩქარი ნაბიჯებით იწყებენ სიარულს. სიარულის დროს ყველა დაბლა იყურება. ყველა გეგმა ხვალისთვის გადაიდო. ბავშვები დავალებებს აღარ წერენ და ამის მიზეზი აქვთ.

საუბრისას თითქმის ყველა წინადადებაში ჩნდება „მაგრამ“ და სიტყვები თითქოს მნიშვნელობას კარგავენ და ისე იყინებიან.

გარშემო უკან დარჩენის, ჩამორჩენის, რაღაცის ვერმოსწრების მსგავსი უცნაური შფოთვა იგრძნობა.

ზამთარია ეს და დღეებს, თვეებს თითქოს მნიშვნელობა ეკარგება. კალენდრის ფურცლების უკან რომ „სასარგებლო და საინტერესო რამ“ წერია, ისიც მოსაბეზრებელია.

ზამთარია. ქალაქების მსგავსად ადამიანებიც შემოღამების მსგავს მარტოობას განიცდიან.

ხოვრებაში რაც დაგვიკარგავს ახალი აღმოჩენებისკენ გვიბიძგებს და ისევ გზას გავუდგებით. ქალაქი ხალხმრავალია, სეზონი- ზამთრის. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მოგზაურობის დრო მოვიდა. თუმცა ამ თოვლში, ამ მოყინულ გზებზე ვერ ვყიდულობთ ბილეთს რომ წავიდეთ სადმე შორს, ისეთ ქალაქში სახელიც რომ არ გაგვიგია ჯერ. არც იმის ხალისი გვაქვს რომელიმე გაჩერებაზე მეგობართან ტკბილად ვიმუსაიფოთ.

ზამთარი...

ეს არის დრო საკუთარი თავი „წავიკითხოთ. ეს არის დრო წაკითხულ წიგნებში

საკუთარი თავი ვეძებოთ და ამოვიცნოთ. ეს არის დრო თვით სამყარო ისე წავიკითხოთ, როგორც წიგნი.

ზამთარია.

ცოტა სიცივისგან, ცოტაც მარტოობისგან, ცოტაც კიდევ წყენისგან კუთხეში მიიყუჟება ადამიანი. ხელში რაც მოყვება იმ წიგნს იღებს და კითხვას იწყებს. ისეთი გულისხმიერებით იწყებს კითხვას, თითქოს მთელი ცხოვრება ამ წიგნის წაკითხვას ელოდებოდა. სტრიქონებს შორის საკუთარი გულის ფიქრებზე დასტურს ეძებს. უნდა დროსა და სივრცის მიღმა გააღწიოს, სტრიქონებს შეერიოს და ერთი აბზაცი თვითონაც იყოს.

და კითხულობს ადამიანი. რაც უფრო მეტს კითხულობს უფრო ცხადად პოულობს საკუთარ თავს. ის ამ ჭეშმარიტების ჩრდილში იმალება, იკარგება და ქრება.

რაც უფრო მეტს კითხულობს ადამიანი უფრო და უფრო ხვდება, რომ სინამდვილეში არაფერი სცოდნია. მერე ხვდება, რომ ჰირასკენ მიმავალ გზას უნდა გაყვეს. წარმოიდგენს შუამავლის იმ მოლოდინს დღეები, ღამეები რომ ელოდა ახალ აიათს და ამ მოლოდინში ცრემლებს ღვრიდა.

როგორი მოთმინება და ცრემლი ახლდა ყოველი ახალი აიათის ზემოვლინებას... და პირველი ბრძანება: „წაიკითხე“. მთელი ორმოცი წელი ელოდა, რომ ამ ბრძანების ადრესატი გამხდარიყო.

ადამიანი მხოლოდ კითხვის საშუალებით ეზიარება ცოდნას. კითხვა ეს არ არის მოთხოვნილება ან ფუფუნება. რაც მთავარია ის ღვთიური ბრძანებაა. იმ დღიდან მოყოლებული, როცა ანგელოზმა ეს ღვთიური ბრძანება მოიტანა ადამიანები ყურანის ფურცლებზე პოულობენ სიმშვიდეს. დიახ. უნდა ვიკითხოთ. გამჩენის სახელით უნდა ვიკითხოთ. ჩვენ ვგრძნობთ ადამიანს, წმინდა წიგნს, სამყაროს და ღმერთის გზავნილის წაკითხვის აუცილებლობას.

როდესაც სამყაროს ენას ვსწავლობთ და ვკითხულობთ ეს გვაძლევს უნარს იმაზე მეტი დავინახოთ, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანს. ადამიანი უკე სხვანაირად ხედავს მიმდინარე წყალს, მიწას, მზეს... მას უკვე შეუძლია ისეთი დეტალების დანახვა, რომელსაც ვერანაირი მიკროსკოპი ვერ აჩვენებს. ადამიანი სხვანაირად გრძნობს დედამიწის ბრუნვას, მთვარის ნათებას, დღე-ღამის მონაცვლეობას...

რამდენი რამეა სამყაროში, რასაც ადამიანი კითხვის შედეგად აღმოაჩენს. ტაიფი,

ჰირა... მეისრეები, რომლებმაც მოვალეობას არ უღალატეს და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალეს.... რამდენი რამაა სამყაროში?! ვარსკვლავები, გალაქტიკა, თვალუწვდენელი, წარმოუდგენელი... და დასკვნა: ამ ყველაფრის უკან უსაზღვრო ძალა დგას და ის არის ამ ყველაფრის გამჩენი.

ვისია ეს მთები და ზღვები? ამ კითხვაზე იოლია პასუხის გაცემა. ის ღმერთისაა. თუმცა ამ მთებში, ზღვებში და ზოგადად ყველაფერში ღმერთის ძალის აღმოჩენა და დანახვაა მთავარი. ამაშია მთელი არსი. სამყაროს სწორად დანახვაში.

სამყაროს წაკითხვისთვის ზულეიჰას მოთმინება, იუსუფის რწმენა და ებუ ბექირის ერთგულების უნარია საჭირო. ცისა და დედამიწის მოსმენაა სამყაროს წაკითხვა.

დიდი რწმენა და მოლოდინია საჭირო საიმისოდ, რომ სამყაროს წიგნი წავიკითხოთ. უდიდესი გულისხმიერებით უნდა ნახსენოთ მზე, მთვარე, სამყარო... პირველი სეჯდე... მერე ისიც უნდა გავიხსენოთ როგორ განადგურდნენ ის ხალხები, რომლებიც ღმერთის ნებას წინ აღუდგნენ. შუამავალ ნუჰის (ნოეს) გემში ის ადამიანები ჩასხდებიან, რომლებსაც სამყაროს წაკითხვისათვის გული ერჩით.

სამყაროს წაკითხვის გზა საკუთარი თავისა და გამჩენის შეცნობაზე გადის. ასევე გულწრფელად უნდა მივყვეთ ბრძანებას „წაიკითხე“. სამყარო მრავალგზის, ფურცელ-ფურცელ უნდა წავიკითხოთ. სამყაროს წიგნი გვასწავლის საკუთარი თავისა და სხვა არსებების შესახებ.

ჩვენ ყველანი ამ გზაზე იმიტომ დავადექით, რომ სიკვდილის შემდეგ ცხოვრების წიგნი მარჯვნიდან მოგვაწოდონ. ყველას ერთი გზა გვაქვს. ყოველდღიური პრობლემები, გლობალური პრობლემები და მოკლედ ყველანაირი პრობლემა გვერდზე რჩება. ჩვენ მონანიებით უნდა წავშალოთ არასასურველი წარსული და ვედრებით უნდა დავადგეთ ახალ გზას.

ეზნის ხმაზე ვხვდებით რომ ისევ ვსუნთქავთ. ტაიფში რაც ხდება ცრემლმორეულები ვგრძნობთ. მექადან მედინაში მიმავალ მუჰაჯურებს შორის, თუნდაც ბოლო ადგილზე, ერთი ადგილისთვის ღმერთს ვევედრებით. ჰირასკენ მიმავალ კლდოვან გზაზე მოთმინების ვედრებას აღვავლენთ... და უნდა გვახსოვდეს პირველი ბრძანება, ანგელოზ ჯებრაილის პირველი სიტყვა. ასე დავიწყებთ უსასრულო მოგზაურობას ჩვენი გულიდან სამყარომდე.

ამ გზაზე ვკითხულობთ ეშ შემსის სუ-

რას. მადლიერებას გამოვხატავთ და სეჯ-დეს ვასრულებთ. გვეშინია, მივეკედლე-ბით, მიტევებას ვითხოვთ. სამყაროს წიგ-ნის კითხვისას ვხვდებით, რომ არაფერი გვცოდნია. იმდენად უკიდეგანოა სამყარო... და რაოდენ ახლოსაა ის. ძალიან ახლოს.

ჩვენ 21-ე საუკუნის მგავრები ვართ,რომ-ლებიც ქარავანს ველოდებით. შიშსა და იმედს შორის ვართ მოქცეულები და მი-ტევების იმედით ვაგრძელებთ არსებობას. ტაიფის, ჰირასა და მედინასკენ მიმავალ გზაზე სულ ერთი რამ გვახსენდება. პირ-ველი ბრძანება „წაიკითხე“.

ჩვენ 21-ე საუკუნის დაღლილი მებრძო-ლები ვართ. ჩვენ იგივენაირი იმედით ვე-სალმებით ცას და დედამიწას. ისევ იგივე ფიქრითა და ოცნებით ველოდებით დილას და საღამოს.

მეჩქედ ნოტის დახმარებით "კითხვის დრო"

აიფერ ბალაბან

კითხვის განმარტება რომ გახდეს საჭირო, რის თქმას ისურვებდით?

კითხვა სინათლეა. კითხვა სრულყოფილებისკენ სწრაფვაა. კითხვა ჭეშმარიტების მიგნებაა. კითხვა ფიქრია, აზროვნებაა. კითხვა არსებობის პირობაა. კითხვა ღვთიური ბრძანებების შესრულებაა. კითხვა ცოდნის ოკეანეში ყველა უჯრედით განბანვაა. კითხვის დროს ჯერ ადამიანს, მერე კი სამყაროს ჩავიკრავთ გულში. კითხვა არის მოგზაურობა, რომელიც ჯერ საკუთარი თავის, მერე კი სამყაროს აღმოჩენაში გვეხმარება. კითხვა ადამიანს ესტეთიკურ განზომილებას შესძენს. იგი ალამაზებს მას და სრულყოფილებისკენ წაიყვანს. ჩვენი წმინდა წიგნის პირველი ბრძანება ხომ სწორედ ეგაა: „წაიკითხე!“

ცოტა ხნის წინ თქვენ ბრძანეთ, რომ კითხვა ადამიანის ძირითადი მოთხოვნი-

ლებაა და ის საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის გზაზე აუცილებელი რამაა. ამდენად მნიშვნელოვანი რამ არის კიტხვა. როგორ ფიქრობთ, ჩვენი საზოგადოება კითხვას საკმარის ყურადღებას აქცევს?

20-30 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით დრეისათვის მდგომარეობა გაუმჯობესებისკენაა წასული. კითხვის პოპულარიზაციის მიზნით ხშირად ტარდება აქციები. პრეზიდენტ აბდულლაჰ გიულის ინიციატივით დაიწყო აქცია „თურქეთი კითხულობს“, რომელიც ოთხი წელი გაგრძელდება. ნეტა სულ ასე გაგრძელდეს. ყველამ უნდა იკითხოს; მწყემსი იქნება, მუშა, პოლიტიკოსი, ექიმი, ინჟინერი, რელიგიური პირი თუ სხვა ნებისმიერი. ზოგადად ის ბავშვები არ კითხულობენ, რომელთა მშობლებიც არ კითხულობენ. გამონაკლისები რა თქმა აუნდა იარსებებს. ამას წინათ წიგნების გამოფენაზე ერთი მამაკაცი იყო მოსული, რომელმაც დანანებით თქვა, რომ არც თავად კითხულობდა წიგნებს და არც მისი შვილი. ასევე სტატისტიკურად ცნობილია, რომ პედაგოგი მშობლების შვილები უფრო მეტს კითხულობენ. გამომდინარე აქედან, საზოგადოებას და ზოგადად ახალგაზრდა თაობას წიგნი რომ შევაყვაროთ, ამისათვის აუცილებელია უფროსმა თაობამ ბევრი იკითხოს.

კითხვა რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამას ბევრი ცნობილი ადამიანი ამბობს. თუმცა აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: „რა უნდა ვიკითხოთ და რამდენი?

დრო ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ სწორი არჩევანის გაკეთება. სწორად შერცეული წიგნის კითხვა ადამიანის აღქმის ჰორიზონტს აფართოებს. მეჰმეთ ქაპლანი ამბობდა: „ბავშვებო, მხოლოდ ლიტერატურას კი ნუ კითხულობთ, სოციოლოგიაც წაიკითხეთ, ისტორიაც, ფილოსოფიაც და სხვა. ლიტერატურა ამ ყველაფერთან ერთად უფრო გამდიდრდება“.

ამავდროულად აქვე განსაკუთრებით უნდა მივუთითოთ, რომ სასულიერო პირებმა რელიგიურ ლიტერატურასთან ერთად აუცილებლად უნდა იკითხონ სხვადასხვა კატეგორიის ლიტერატურა, როგორიცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, ხელოვნება და სხვა. ასეთ შემთხვევაში ისინი უკეთე შეძლებენ მრევლთან კომუნიკაციას და სათქმელის ეფექტურად მიტანას. არსებობს წიგნები, რომლებსაც ერთხელ წაკითხვით გაიგებ, მაგრამ ზოგიერთი წიგნი მუდმივად უნა იკითხო. არსებობს ასეთი შედევრები, რომლებიც მუდმივად ინარჩუნებენ აქტიურობას. სასულიერო პირებს ვურჩევდი იქონიონ ასეთი წიგნები და მუდმივად იკითხონ.

როგორ უნდა შევაყვაროთ ბავშვებს წიგნები და კითხვა?

ბავშვებს კი არ უნდა დავაძალოთ კითხვა, არამედ უნდა შევაყვაროთ და დავეხმაროთ ჩვენად ჩამოუყალიბდეთ. ჩემს ბავშვობაში ზოგიერთი კატეგორიის წიგნების კითხვას გვიკრძალავდნენ და ჩვენ მათ ჩუმად ვკითხულობდით. წიგნების შერჩევა რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. მაგალითად ჩემი უფრო ძმა ზოგიერთი წიგნის წაკითხვას მიკრძალავდა. ერთხელაც მეგობრებთან ერთად ვიყავი და წაკითხულ წიგნზე ვესაუბრებოდი. ამ დროს ჩემი უფროსი ძმა მოვიდა, ჩემი წიგნი აიღო და ცეცხლი წაუკიდა. მე იმ მომენტში ცხოვრების ყველაზე დიდი ტკივილი განვიცადე. იქ მხოლოდ ჩემი საყვარელი წიგნი კი არა, ის გმირები და ჩემი ოცნებები იწოდა. ძალიან მეწყინა. მოხდა ისე, რომ ჩემი უფრო ძმა მიხვდა თავის შეცდომას და ერთ დღეს წიგნების მთელი კრებულები მომიტანა. ბევრი რომანი და მოთხრობა მომიტანა. ნეტა ის წიგნი არ დაეწვა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ბავშვებს წასაკითხი წიგნები უნდა ვურჩიოთ, მაგრამ იძულება, დაწვა და სხვა მკაცრი მიდგომები არავითარ შემთხვევაშ არ უნდა გამოვიყენოთ.

თქვენ ბრძანეთ, რომ ბავშვებს წიგნების არჩევაში უნდა დავეხმაროთ. ჩვენი ბავშვები კლასიკურ ლიტერატურას, უფრო მეტიც, 10-15 წლის წინ დაწერილ წიგნებსაც აღარ კითხულობენ. ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოვიქცეთ?

ცნობილია, რომ თურქულ ენაში ასი ათას სიტყვაზე მეტია, მაგრამ დღეს სამწუხაროდ ძალიან შეზღუდული რაოდენობის სიტყვებით ვსაუბრობთ. ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე საკითხებზე საშუალოდ 200-300 სიტყვა გამოიყენება. ჩვენ უნდა დავფიქრდეთ ამაზე და ბავშვების მაგიდაზე აუცილებლად გვქონდეს თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ლექსიკონში სიტყვების ძიება განსაკუთრებულ შეგრძნებას ბადებს. ზოგჯერ ნაცნობი სიტყვის განმარტების კითხვისასაც კი მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღმოვაჩენთ ხოლმე. ლექსიკონის გარეშე კითხვა შეცდომად მიმაჩნია. სიტყვების მარაგის გაზრდა ყველას სჭირდება. მკითხველმა არ უნდა გაატაროს არცერთი სიტყვა, რომელსაც ვერ გაიგებს, უნდა მოძებნოს ლექსიკონში და გაიგოს.

თქვენ, როგორც მწერალი პოპულარულ წიგნებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებთ. ამას როგორ ახსნით?

მხოლოდ მედიაში გაპიარებული წიგნების მიმართ ასეთი დიდი ყურადღებისა და ადამიანების მხრიდან ინტერესს არ ვეთანხმები. არის შემთხვევები, როცა რომელიმე წიგნის შესახებ მეგობრები გაკვირვებული გვეკითხებიან: „შენ ეს წიგნი ჯერ კიდევ არ წაგიკითხავს?“ ხშირად ამის გამო ვიღებთ რომელიმე პოპულარულ წიგნს და ვკითხულობთ. თუმცა აღმოჩნდება, რომ ასეთი წიგნი მოლოდინებს გვიცრუებს. გამომდინარე აქედან ყველა წიგნი, რომელსაც რეკლამა აქვს აუცილებლად წასაკითხი არ არის. ჩვენს საზოგადოებაში კი მუსირებს აზრი, რომ ასეთი წიგნები აუცილებლად წასაკითხია. ჩემი აზრით ასეთი გაპიარებული წიგნები მაშინვე არ უნდა წავიკითხოთ, ცოტა დაველოდოთ და თუ შეინარჩნებენ პოპულარობას მერე ვცადოთ.

გარდა ამისა, მხოლოდ პოპულარულ წიგნებზე არ მინდა ვისაუბრო. არსებობს წიგნები, რომლებიც მივიწყებულია, მაგრამ ისინი ძალიან მნიშვნელოვანი შედევრებია. მაგალითად ქემალ ალთინკაია, რომელმაც 1940 წელს ოთხი რომანი დაწერა, თითქმის მივიწყებულია. თნდაც ნიჰათ სამი ბანარ-

ლი. ჩვენ ჩვენს ღირებულებებს და დიდ ხელოვანებს არ ვაფასებთ და ვივიწყებთ. ერი თავისი მწერლობითა და ხელოვნებით აგრძელებს არსებობას. ჯემილ მერიჩი, აჰმედ ჰამდი თანფინარი, სუჰეილ უნვერი, მუსტაფა დუზგუნმანი, მეჰმედ ქაფლანი და სხვები ჩვენი ლიტერატურის ფასდაუდებელი მოამაგენი არიან. მწერლების ხვედრი ასეთია. ისინი წერენ და ადამიანებმა ეს უნდა დაინახონ. მაგალითად, ბაჰათთინ ოზქი'ში არავის ახსოვდა. ჩვენ ორჯერ მოვიწვიეთ საზოგადოება და მისი შემოქმედება გავაცანით. ხალხი გაოცებული იყო, ასეთი მწერალი გვყოლია და არ ვიცოდითო.

რა თქმა უნდა ჩვენ გვყავს ისეთი სასულიერო პირები, რომელთა მოღვაწეობის სფერო მხოლოდ რელიგია არ გახლავთ და ზოგი მათგანი მწერალია, ზოგი-პოეტი, ზოგი - მუსიკის დარგითაა გატაცებული და სხვა. მაგალითად ომერ ნასუჰი ბილმენი, რომელიც სასულიერო საქმეთა მინისტრიც იყო, ახალგაზრდობაში რომანებს წერდა და მისი ერთ-ერთი რომანი მისი გარდაცვალებიდან 36 წლის შემდეგ დაიბეჭდა.

ეს სფერო რომ გამოვიკვლიოთ და საზოგადოებას გავაცნოთ ძალიან კარგი იქნება. გულმავიწყობა ამ საუკუნის სენია. საფიე ეროლი, რომელიც სიყვარულს ჩვენი

მწერლებიდან ყველაზე ლამაზად აღწერს, დღეს დავიწყებულია. ესეიგი რა გამოდის? ჩვენ სიყვარულიც კი დაგვივიწყებია. არც ჰამდი ტანფინარი დავაფასეთ სიცოცხლეში. გარდაცვალების შემდეგ კი მეჰმეთ ქაფლანის მცდელობის შედეგად მისი დაფასება შევძელით და დღეს ღირსეული ადგილი უკავია ჩვენს მეხსიერებაში.

1985 წელს მხატვარ ელიფ ნაჯისთან შეხვედრა მქონდა. მან დანანებით თქვა: „არ არსებობს თურქი მხატვარი, არ არსებობს თურქული ნახატი“. იმავე წელს მუსტაფა დუზგუნმანს დუქანში ვეწვიე. მან მითხრა, რომ მასთან ამერიკიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსწავლეები მიდიოდნენ მისი ხელოვნებით ინტერესდებოდნენ, მაგრამ არცერთი მეზობლისი ბავშვი ჯერ მის დუქანში არ იყო მისული. არც დაინტერესებულან, რომ მე აქ ამ ქაღალდებით და საღებავებით რას ვაკეთებდიო.

ნეტა სხვებს არ შევყურებდეთ და აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან ქვეყნის სილამაზეს კარები გავუხსნათ...

ერი მხოლოდ თავისი კულტურით, თავისი ხელოვნებით არსებობს და მსოფლიოშიც თავისი კულტურით იკავებს შესაბამის ადგილს. თუ გვინდა რომ ჩვენი ფასი

ვიცოდეთ და სხვებმაც იცოდნენ საკუთარი კულტურა წინ უნდა წამოვწიოთ. ჩვენ ჩვენი ტრადიციები ჯეროვნად არ დავაფასეთ და სათანადოდ ვერ ვისარგებლეთ მისგან. დღეს კი საკუთარი თავის ხელახლა აღმოჩენა დავიწყეთ და საკუთარი კულტურისკენ მობრუნებას ვცდილობთ. ამ მიმართულებით, მადლობა ღმერთს, მნიშვნელოვანი წინსვლაა. ჩვენი ნაწარმოებები და ხელოვნების ნიმუშები საზღვარგარეთ გადის და თავის ადგილს იმკვიდრებს. დღესაც ძალიან დიდი მწერლები გვყავს და მათი ნაწარმოებები სხვადასხვა ენებზე ითარგმნება. უკვე გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ყველაფერს დასავლურს კი არ ვაფეტიშებთ, არამედ საკუთარის დაფასება დავიწყეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოღვიძების ხანაა. ჩვენი მიზანი არა საკუთარ თავში ჩაკეტვაა, არამედ შინაური და გარეული კულტურისგან მაქსიმალური სარგებლობა.

დღეს კითხვაზე ხელის შემშლელი ფაქტორები მრავლადაა. ფილმებმა ხომ არ შეუშალა ხელი კითხვას?

რა თქმა უნდა მოქმედებს. ჩვენ ჩვენი ლიტერატურა თანამედროვე ხელოვნების

გამოყენებით ფართო შეგვიძლია უფრო ფართო მასებს გავაცნოთ. ზოგჯერ ერთი ფილმის ეფექტი მეტია, ვიდრე ათი წიგნის. ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებს შორის ასეთი მჭიდრო კავშირი უნდა შეიკრას. წიგნის ფილმად ქცევა შეიძლება, ასევე შეიძლება წიგნის ონლაინ წაკითხვაც, მაგრამ დამიჯერეთ, წიგნი სულ სხვა რამეა. წიგნსა და მკითხველს შორის პირდაპირი კავშირია. ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის ყურების შემდეგ გვითქვამს, რომ ეს ის არ არის. წიგნი პირველია, მეგობარია, მესაიდუმლეა. წიგნი და ადამიანი ყველაზე საუკეთესო წყვილია. ჩვენ ხომ წიგნისმიერი ცივილიზაციის შვილები ვართ. ეს ცივილიზაცია ყველაზე უკეთესი ფორმით უნდა განვავითაროთ.

მადლობა ღმერთს გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც კითხვისთვის 24 საათი არ ჰყოფნით.

ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ისტორიკოსი ორჰან ოქაი ამბობდა: „ზოგჯერ დანანებით ვუყურებ წიგნებს, რომლებიც სახლში მაქვს, ყველას წაკითხვა მინდა, მაგრამ ვიცი ყველას ვერ წავიკითხავ და ამიტომ ძალიან განვიცდი“. ადამიანს რომ ყველა წიგნის წაკითხვა უნდოდეს ეს ბუნებრივია,

მაგრამ-შეუძლებელი. ჩვენ ყველანი დროით ღარიბები ვართ. ასეთ დროს სასურველია ინტერესის სფეროს გავყვეთ და არჩეული წიგნები წავიკითხოთ. ასევე მნიშნელოვანია ჟურნალების კითხვაც. ზოგი წიგნი საფუძვლიანად უნდა წავიკითხოთ, ზოგს კი თვალი რომ გადავავლოთ ესეც საკმარისია.

თავისუფლებისა და ესთეტიკის სახელით არსებობს ალტერნატიული ლიტერატურა, რომელიც ზრდილობის ფარგლებს სცილდება. ზრდილობის ფარგლებში ყველა სახის ლიტერატურის შექმნა შეუძლებელია?

სიტყვებს ლიტერატურას და ზრდილობას არაბულ ენაში ერთი და იგივე ძირი აქვს. როდესაც რაიმე ზრდილობის ფარგლებს სცილდება ეს მიღებული არ არის. ყველამ უნდა ეცადოს,რომ ეს ფარგლები გაითვალისწინოს. ეს ყველა სფეროში ასე უნდა იყოს; ლექსში, მოთხრობაში, რომანში და ასე შემდეგ. ისეთ დეტალებში შესვლა, რომლის უფლებასაც ზრდილობა არ გვაძლევს, ავტორისთვის დამაკნინებელია და მკითხველისთვისაც არაფრის მომცემი. აქ არის კიდევ ერთი ფაქტორი, მკითხველის გემოვნება. მკითხველის არჩევანი მნიშვნელოვანია.